ვამტკიცებ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

სალომე მელია _____

<u>შეთანხმებულია:</u>

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი

გიორგი გიორგაძე _____

საჭადრაკო **ფესტივალი** "ბათუმი—**2020**"

ქ. ბათუმი, 21– 28 აგვისტო, **2020 წელი**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორგანიზატორები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი;
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, სასტუმრო ,,მიმინო'', გიორგი ანწუხელიძის ქ. №64

<u>1.</u> **ფესტივალი ტარდება შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:**

8 წლამდე ჭაბუკთა შორის	(2012 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
8 წლამდე გოგონათა შორის	(2012 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
10 წლამდე ჭაბუკთა შორის	(2010 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
10 წლამდე გოგონათა შორის	(2010 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
12 წლამდე ჭაბუკთა შორის	(2008 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
12 წლამდე გოგონათა შორის	(2008 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
14 წლამდე ჭაბუკთა შორის	(2006 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
14 წლამდე გოგონათა შორის	(2006 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)

2. ფესტივალის სათამაშო წესები:

ფესტივალის ტურნირები გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით, 7 ტურად. დროის კონტროლი: 45 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. ტურნირში ფიდე-ს რეიტინგი არ დაითვლება. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

3. რეგისტრაცია:

ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს ასაკობრივი ცენზის დაცვით. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა გადმოაგზავნონ ქვემოთ მითითებულ ელ. ფოსტაზე დაბადების მოწმობის ასლი და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჩემპიონატის სატურნირო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი 2020 წლის 19 აგვისტოს 19.00 საათამდე.

ქეთევან მუხაშარია - ელ. ფოსტა - chessketevan@mail.ru მობ: 593 302 158
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2020 წლის 19 აგვისტოს 19:00 საათი.

4. საწევრო შესატანი

სატურნირო შესატანი 2020 წლის 19 აგვისტოს 19:00 საათამდე – 30 ლ. ხოლო შემდგომ 22 აგვისტოს 10:00 საათამდე - 40 ლარი.

სატურნირო შესატანის ანგარიშსწორება იწარმოებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის შემდეგ ანგარიშზე:

ს. ს.'' საქართველოს ბანკი'', ანგარიშის № GE95BG0000000363099200

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
მეორე ტურის დამთავრებამდე საწევრო შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში, მონაწილე ამოღებული იქნება სიიდან.

საქართველოს მოქმედი ჩემპიონები **8, 10, 12** და **14** წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის თავისუფლდებიან საწევრო შესატანისგან.

5. ფესტივალის განრიგი

ჩამოსვლის დღე	21 აგვისტო	
გახსნა	22 აგვისტო	11:30
1 ტური	22 აგვისტო	12:00
2 ტური	23 აგვისტო	11:00
3 ტური	24 აგვისტო	11:00
4 ტური	25 აგვისტო	11:00
5 ტური	26 აგვისტო	11:00
6 ტური	27 აგვისტო	11:00
7 ტური	28 აგვისტო	11:00
დახურვა	28 აგვისტო	

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია მოახდინოს ტურნირის დაწყების დროის (საათი) შესაბამისი კორექტირება.

6. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი – 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი) ;
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობა;

7. პრიზები

ყველა ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებული ხუთეული დაჯილდოვდება:

აჭარის ა.რ. სპორტის დეპარტამენტის შესაბამისი ხარისხის დიპლომით და ფასიანი საჩუქრით; პირველი სამეული - მედლით;

აგრეთვე დაწესებული იქნება სხვა სპეციალური პრიზები. პრიზებისა და საჩუქრების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

8. მწვრთნელთა კონკურსი

მწვრთნელის კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია, რომ ფესტივალის ასაკობრივ ტურნირებში თამაშობდეს არანაკლებ 3 მოსწავლე, რომლებიც ითვლებიან მის მოსწავლეებად არანაკლებ 6 თვისა. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მწვრთნელებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ მე-3 ტურის დაწყებამდე.
გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში 1 – 5 ადგილზე გასული მოსწავლეების შედეგების შეჯამების პრინციპით:

I ადგილ - 10 ქულა
II ადგილი - 8 ქულა
III ადგილი - 6 ქულა
IV ადგილი - 4 ქულა
V ადგილი - 2 ქულა

ქულათა რაოდენობის მიხედვით გამარჯვებული 5 მწვრთნელი დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით.

9. საერთო წესები

ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება. პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება. ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება ფესტივალის გახსნის ცერემონიალზე. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

კოვიდ - 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.

10. მონაწილეთა მიღება

კერძო სექტორის ღირებულება 15 ლ-დან ზემოთ. (ერთ კაცზე)
სასტუმრო „მიმინო'' ნომრის ღირებულება 50 ლ. (3 საწოლი)
სამჯერადი კვება 15 ლარი, ან ცალ-ცალკე საუზმე, სადილი და ვახშამი 5-5 ლარი.
მონაწილეთა სატურნირო შესატანს, ცხოვრების, კვების და გზის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

ტურნირის დირექტორი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი
ქეთევან მუხაშარია

დანართი 1

1. სათამაშო დარბაზში შესვლამდე მონაწილეებს ჩაუტარდებათ თერმოსკრინინგი. ყველა მონაწილემ უნდა ჩაიტაროს ხელების ჰიგიენა სადეზინფექციო ხსნარით;

2. შენობაში შესვლისთანავე უნდა გაიკეთონ დამცავი ნიღაბი, რომელიც არაა სავალდებულო სათამაშო დარბაზის ღია სივრცეში;

3. სათამაშო სივრცეში მოთამაშეების გარდა დაშვებულია მხოლოდ მსაჯებისა და ორგანიზატორების ყოფნა;

4. ტურნირის დასრულების შემდეგ, თითოეულმა მონაწილემ თვითონ უნდა გაიტანოს თავისი ნივთები და ნარჩენები ოთახიდან;

5. ტურნირის დასრულებისთანავე ჩატარდება საჭადრაკო ინვენტარის (ფიგურები, დაფა, საათი), სკამების, მაგიდების, იატაკის და კარებების სახელურების დეზინფიცირება;

6. ტურნირის ყველა მონაწილემ სათამაშო დარბაზიდან ყოველი გამოსვლის შემდეგ უნდა ჩაიტაროს ხელების ჰიგიენა;

7. საჭადრაკო პარტიის დამთავრებისთანავე ყველა მონაწილემ უნდა დატოვოს სათამაშო დარბაზი;

8. ტურნირის დროს დაცული იქნება საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა რეგულაციები (სველი წერტილის წმენდა, დეზინფექცია, სადეზინფექციო დისპენსერების განთავსება და სხვა)